ხუთშაბათი, 26 ოქტომბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი — № 235

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმ[ე]ების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და [illegible] ლობით პასუხ[ის]ათვის [illegible] პირადად [illegible] აპარატები, შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარ[და] [illegible] დღეს 3 სა[ათამ]დე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

ლაზარე გურგენის ძე და კონსტანტინე იაგორის ძე მამინაიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ ძმის და მეორე—მამის

## იაგორ გურგენის ძე მამინაიშვილისას.

გამოსვენება მიხაილოვის საავადმყოფოდან შაბათს, დილის 9 საათზე, ქვაშვეთის ეკკლესიაში, საიდანაც, წირვის შემდეგ, ცხედარს წაასვენებენ კუკიის სასაფლაოზედ. (1—1)

მღვდელი ბესარიონ იაკობის ძე და იაკობ სიმონის ძე ვაშაძეები დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ მეუღლის და მეორე—ძვირფას რძლის

## ელ. საბედ (იგივე ელენკა) ჩიქვილაძის ასულის ვაშაძისას.

გამოსვენება დანიშნულია ამა 26 ოქტომბრის, თორმეტ საათისთვის მღვიმის წმ. ვარვარის ეკკლესიის საგვარეულო სასაფლაოზედ. (2—ფ.—2)

27-ს ამა ოქტომბერს

### ილია ჭავჭავაძის დაბადების მე 70 წლის თავზე

არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში წერა-კითხვის საზოგადოების მიერ გაიმართება

## სალიტერატურო და სამუსიკო საღამო

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ე. გაბაშვილისა, დ. ერისთავი-განდეგილი, ნ. პრესინსკისა, ს. რომანიშვილისა, მ. ძნელაძისა და ნ. ჩხეიძე. ბ-ნნი: გ. ანანიაშვილი, ი. ევდოშვილი, იოს. ბარათაშვილი, ა. იმედაშვილი, არ. ლეისტი, ნ. კურდღელაშვილი, ს. მგალობლიშვილი, კ. მაყაშვილი, დ. ნახუცრიშვილი, ი. ტომაშევიჩი, ცხომელიძე და ფილარმ. საზოგადოების ხორო ბ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

ბილეთები იყიდება წერა კითხვის საზოგადოების კანცელარიაში; 26 და 27 კი გაიყიდება არტისტ. საზოგადოების კასაში.

საღამო დაიწყება სრულ 8 საათზე.

იბეჭდება და ნოემბრის დამლევს გამოვა

## დროების კალენდარი

დამდეგი 1908 წლისათვის.

კალენდარი შეიცავს რამდენიმე განყოფილებას, რომელშიაც მოთავსებული იქნება: საკალენდრო ცნობები, რუსეთის იმპერატორების გვარეულობა და მათი ქონება, საქართველოს რუსეთთან შეერთების ტრაქტატი, ასტრონომიული ცნობები, ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინისგზის ცნობები, უცხოეთის სახელმწიფოების ცნობები, პოლიტიკურ პარტიების პროგრამები, სტატისტიკური ცნობები, იურიდიული ცნობები, საექიმო და სამეურნეო ცნობები, შესანიშნავი ამბები 1905—1907 წ. მომხდარი და მრავალი სხვა ცნობები.

✦ კალენდარში დაიბეჭდება ყოველგვარი განცხადებანი ✦

ადრესი: ტფილისი, „იდეალის" სტამბა „დროების კალენდრის" გამომცემელს.

## კახური ღვინო

პირველ ოქტომბრიდან ახლად გაიხსნა კახური ღვინის სარდაფი კახელ მევენახეთა

### თავ. ჯანდიერისა და არღუთინსკი-მხარგრძელისა,

სადაც ღვინის მომხმარებელთ ზომიერ ფასად შეუძლიანთ მიიღონ ნამდვილი კახური საუკეთესო ღვინო, ნამდვილი ყურძნის ნაწური. დარწმუნებულნი ვართ, რომ მომხმარებელნი კმაყოფილნი დარჩნენ.

სარდაფი მდებარეობს ქალაქ. ტფილისში, ველიამინოვის ქუჩაზედ, აირუმოვის სახლში, № 7 „ველის ციხე".

უმორჩილესად ვთხოვთ ღვინის მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ ეტიკეტს. (21—343—7)

კახური ღვინით ვაჭრობა

## „ზირხა"

ახლად მივიღეთ დიდ ძალი საუკეთესო

ფასები ზომიერია **კახური ღვინოები** ფასები ზომიერია

ნიკოლოზის და გეიდენოვის კუთხე, № 17.

ტფილისში. (50—262—16)

ელექტრონის და რენტგენის
სამკურნალო კაბინეთი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—ნ.—28)

ექიმი ქალი

## ს. ზ. მირზოევისა

მიიღებს თვალებით ავათმყოფებს ყოველ-დღე გარდა შაბათობით $1^1/_2$—$2^1/_2$ სოლოლაკის ქუჩა № 6. (25—364—9)

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—208)

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი

## ნ. ა. ტერიანცი

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის" სასტუმროს პირდაპირ. (50—385—1)

თვალის ექიმი

## ზ. მ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (30—345—8)

დოქტორი მედიცინისა

## გ. გ. გურგენოვი

ყოფილი საშტატო ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის საქალო ავადმყოფობისა და ბებიაობის კლინიკისა გადავიდა გოლოვინის პროსპ., № 12 საარტისტო საზ. თეატრის პირდაპირ. ავად მყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. (25—355—12)

ექიმი
ე. მაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ქუთაისში
კბილის ექიმი ქალი

## ე. დ. ნასარიძე

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

ექიმი

## ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ქ. ქუთაისში
ექიმი ი. ი. ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს. სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუბონებს და სხ. უოპერაციოდ პროფ. ზიერის მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (27—ფ.—19)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 ს.

რიდელი—კანისა, ვენ., სიფილ. ყოველ დღე $1^1/_2$—3 საათ.

იანჩევსკი—ყურისა, ყელ. და ცხვირ. ყოველ დღე 2—3 საათამდე.

ერმოლენკო—ბავშ. შინ. ყოველ დღე 1—12 ს.

პავლოვსკი—ქირურგ. ყოველ დღე 1—12 ს.

ასპისოვი—ყურისა, ყელ., ცხვ. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. სამშაბ. და პარასკ. გარდა.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარსკ. კვირა 1—2 ს.

ბოგოვსკი—შინაგ. ყოველ დღე $11^1/_2$—1 ს.

გორალევიჩი—შინაგ. ყოველ დღე $11^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

ინაური—ქალთა ავად. დროებით წავიდა.

ჩუდნოვსკი—ნერვ., სულით, ელექტრ. ყოველ დღე 4—5 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 ს.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ 1—2 ს.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 10—12 და 3—5 ს.

კორობცოვისა—მასსაჟი. ყოველ დ. 12—1 ს

პისარსკი —
ჩუდნოვსკი— კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთ გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—49)

## გამოვიდა

ახალი, მეთექვსმეტე გამოცემა

## „ბუნების კარისა"

ბევრად შევსებული: გადიდებულია სალიტერატურო ნაწილი და ახლად ჩართულია ისტორიული განყოფილება, მთავარი ისტორიული პირების პორტრეტებით. იპყრობს 470 გვერდსა.

ფასი ისევ სამი აბაზი ყდით. (6—5)

## „ტფილისის სობრანიეს"

„ტფილისის სობრანიეს" მამასახლისთა საბჭო აუწყებს საკრებულოს წევრებსა და კანდიდატებს, რომ საკრებულოს ბიბლიოთეკა 27 ოქტომბრიდან ძველი წესრიგით იმოქმედებს. (2—388—1)

დაბა ჭიათურა
ადგილობრივი თეატრი.

შაბათს, 27 ოქტომბერს, ჭიათურის დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ქ-ნ მ. მდივანის ბ-ნ ვ. დადიანის მონაწილეობით დიდებულ მგოსნის ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა ქართულ სცენაზე.

I

## ბატონი და ყმა

დრამა 3 მოქ. გადმოკ. მგოსნის მოთხრობიდან „გლახის ნაამბობი" შალვა დადიანის-მიერ.

II

## ა პ ო თ ე ო ზ ი

მგოსნის სურათის წინაშე წაკითხულ იქნება მისი მოკლე ბიოგრაფია და მისივე თხზულებიდან საუკეთესო ლექსები და პოემა.

მონაწილეობას მთელი დასი იღებს

ადგილების ფასი 3 მან. 30 კ.-მდე.

შემოსავალი დანიშნულია ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

წარმოდგენა არ გადიდება.

რეჟისორი ვ. ლ. ურუშაძე.

ჭიათურის დრამატიულ საზოგადოების გამგეობა. (2—უ.—1)

## ქუთაისში

ქალაქის თეატრში კვირას 27 ოქტომბ.

### ილია ჭავჭავაძის ფონდის

გასაძლიერებლად გაიმართება

ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო

## მისაღები ეგზამენები

ტფილისის საბალოსნო სკოლაში დანიშნულია 31 ოქტომბრიდან. (4—384—2)

## „ტფილისის სობრანიეს"

მამასახლისთა საბჭო აუწყებს ბ-ნ წევრებს და კანდიდატებს, რომ, წინა წლებსავით, „სობრანიეს" საზამთრო სადგომში კვირაში ორჯელ გაიმართება საოჯახო საღამო—სამშაბათობით და შაბათობით.

სამშაბათობით დაუკრავს საზანდარი, ხოლო შაბათობით—ორკესტრი. (1—387—2)

## ტფილისი, 26 ოქტომბერი.

მომავალ მესამე სათათბიროს წევრთა დიდი უმრავლესობა თავის მდგომარეობით მემამულეები არიან, პოლიტიკურის რწმენით კი კონსერვატორები. ახალ პარლამენტის ამ გვარი შედგენილობა შემთხვევითი მოვლენა არ არის, პირიქით, იგი ბუნებრივი გამოხატულებაა რეაქციის გამარჯვებისა.

ვიდრე რუსეთის ბიუროკრატია კონსტიტუციის თამაშში ჩაებმებოდა, იგი თავის ძლიერებას გლეხობაზე ან, უკეთ რომ ვთქვათ, გლეხობის სიბნელეზე და შეუგნებლობაზე ამყარებდა, თითქოს გლეხთა ინტერესების მოსარჩლეობით ბიუროკრატია მაგრად ებღაუჭებოდა სახელმწიფოებრივ მექანიზმს და არავის ბატონობის მოწესრიგების უფლებას არ აძლევდა. როცა რევოლიუციის პირველმა ტალღებმა ბიუროკრატიის ძლიერება შეარყია და იძულებულ ჰყო კონსტიტუციის მგზავსი მმართველობის ფორმა შემოეღო, იგი ყოვლის უწინარეს თავის ბატონობის ფაქტიურ შერჩენაზე ზრუნავდა და სცადა ამ ბატონობის დაფუძნება იმ გლეხობაზე, რომელიც წინად თავის უხმო მცონარეობით ჰქმნიდა ილლიუზიას, ვითომც რუსეთში არსებული სახელმწიფოებრივი წესწყობილება შეხამებული ყოფილიყოს გლეხობის ინტერესებთან. თერთმეტ დეკემბრის საარჩევნო კანონი სწორედ ამ ცდის გამოხატულება იყო რუსეთის ბიუროკრატიის მიერ. ბიუროკრატია დარწმუნებული იყო, რომ თუ სათათბიროს უმრავლესობა გლეხობის წარმომადგენლები იქნებოდნენ, იმისი ბატონობა უზრუნველყოფილი იქნებოდა, რადგან მათგან მოსალოდნელი ოპოზიცია, ბიუროკრატების ვარაუდით, ვიწრო ფარგალს არ უნდა გასცდენიყო.

პირველმა და მეორე სათათბირომ გამოამჟღავნა ბიუროკრატთა ანგარიშების სრული უნიადაგობა. მწარე გამოცდილებით დაინახა რუსეთის ბიუროკრატიამ, რომ რუსეთის გლეხობა გონებრივად უკვე ღრმად შეცვლილი და ბიუროკრატიულ იმედების გამამართლებელი სრულიადაც აღარ იყო. აი, აქ დაიწყო 11 დეკემბრის საარჩევნო კანონის კრიზისი და აქ ჩაისახა სამი ივნისის კანონის დასაბამი. რუსეთის მმართველობა იძულებული შეიქნა გამოსთხოვოდა თავის განძრახვას, ერთად მოეთავსებინა საკონსტიტუციო რეჟიმი დემოკრატიულ საარჩევნო სისტემით და თავისი ძველებური ბატონობა. ბიუროკრატიამ მტკიცედ შეუბრუნა ზურგი გლეხობას და ახალ ნიადაგის ძებნა დაიწყო. ორში ერთი გზა უნდა აერჩია: ან სრულიად უნდა მოესპო პარლამენტობის თამაში და ან პარლამენტს უმრავლესობა, ახალ საარჩევნო კანონის გამოცემით, იმათთვის უნდა დაეთმო, ვინც ეკონომიურად მართლა ბატონია რუსეთისა; სხვა ნაირად რომ ვთქვათ, ან უკიდურეს მემარჯვენეთა გულის წადილი უნდა აესრულებინა და უკან დაებრუნებინა რუსეთი, რევოლიუციის წინა დროისკენ, და ან ოქტომბრისტებს უნდა აჰყოლოდა და დაეკანონებინა მსხვილ მემამულეების და ბურჟუების ბატონობა სათათბიროში. განზრახვის ასრულება ბიუროკრატიის ძალას აღემატებოდა, რადგან ამ შემთხვევაში მას ერთ მუჭა უძლურ რეაქციონერების გარდა მთელ რუსეთთან პირდაპირი შებმა მოუხდებოდა; ეს შეუძლებელი იყო და ბიუროკრატიაც მეორე გზას დაადგა.

სამი ივნისის კანონით არჩეული სათათბირო—რუსეთის მართვა-გამგეობის ძაფების გადაცემაა ბიუროკრატიისაგან მსხვილ მემამულეების ხელში. რა თქმა უნდა, მემამულეები თავის ძალას სათათბიროში ყოვლის უწინარეს აგრარულ საკითხის თავის სასარგებლოდა გადასაწყვეტად მოიხმარენ. რა თქმა უნდა, ამ საკიხის გადაწყვეტას ისინი თიათონ შეუდგებიან და ბიუროკრატიას არ დაანებებენ. მაშასადამე აგრარული საკითხი და ამ საკითხის ნიადაგზე სათათბიროს და ბიუროკრატიის ურთი-ერთობა ისეთივე ძირითადი პრობლემა იქნება მესამე სათათბიროსთვის, როგორიც იყო პირველისა და მეორისთვის. ცხადია, რომ ეხლა სათათბიროს და მმართველობის ურთიერთობას სხვა ელფერი ექნება, მაგრამ თუ ბიუროკრატიამ ოფიციალურად არ აღიარა თავისი თავი მემამულეთა ინტერესების მცველად, თუ უარ არ ჰყო თავისი დამოუკიდებელი ბატონობა და ეს ბატონობა აგრარიებს არ გადასცა, ამ შემთხვევაში შეუძლებლად არ უნდა გვეჩვენოს კონფლიქტი მესამე სათათბიროსა და ბიუროკრატიას შუა.

## ახალი ამბავი

✦ **ფქვილი.** რადგან ტფილისში ცოტა ფქვილი აღმოჩნდა, კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ სთხოვა გზათა სამინისტროს, არ დააბრკოლოს ფქვილის გზავნა კავკავის გზით. გზათა სამინისტროატყობინებს ნამესტნიკს, რომ კავკავის გზაზე საკმაო ვაგონებია და ფქვილი დაუბრკოლებლივ იგზავნება კავკასიის ქალაქებისაკენაო. ეს ამბავი გუშინ გუბერნატორმა აცნობა ქალაქის თავს.

✦ **უყურადღებობა.** 1807 წელს ტფ. ქალაქის თვითმართველობისთვის მიუმართავს თხოვნით საინჟენერო დისტანციას, შეცნობებინა—თუ ვის ეკუთვნოდა ავლაბარში ერთი ნაჭერი ადგილი, ზომით 1 დესეტინა და 1340 ოთხკ. საჟენი. როცა დისტანციას შეუტყვია, რომ მიწა ქალა-

ქის საკუთრებაა, იგი შევაჭრებია გამგეობას, რომელსაც შეუთვლია, საჟენს დაგითმობთ 5 მან. მერე მიწერ-მოწერა შეწყვეტილა და ამ ადგილის შესახებ საქმე მიყუჩებულა. ამ დღეებში სააღმშენებლო განყოფილების ერთ მოხელეს ვ. ივ. ნიკოლაძეს არქივში უნახავს მიწერ-მოწერის ქაღალდი და შეჰკითხებია ქალაქის მიწის მზომელს ოფიციალურად, ვის ეკუთვნის ამ ჟამად ეს ადგილიო. მიწის მზომელს შეუტყობინებია, მიწა ამ ჟამად ეკუთვნის სამხედრო-საინჟინერო უწყებას, რომელიც აგერ ათი წელიწადია სარგებლობსო. ეხლა ეს ადგილი 40,000 მანეთზე მეტად ღირს. ასე იკარგება უყურადღებობით ქალაქის ქონება.

◆ **რეპერტუარი.** სამშაბათს, 24 ოქტომბერს, სხდომა ჰქონდა დრამატიულ საზოგადოების სარეპერტუარო კომისიას. კომისიამ გადასწყვიტა მხნედ შეუდგეს რეპერტუარის გამდიდრებას როგორც რუსულისა, ისე სხვა უცხო ქვეყნების საუკეთესო მწერალთა დრამატიულ ნაწარმოების გადმოთარგმნით. გადაწყვეტილია, ჯერ-ჯერობით საუკეთესო რუსულ თხზულებების გადმოთარგმნა. ამისთვის გამოიწერენ რუსულ პიესებს, შემდეგ პიესები დაურიგდებათ სათარგმნელად ქართულ ენის კარგ მცოდნეებს, რომელთაც სასყიდელი მიეცემათ. კომისიამ დაადგინა აგრეთვე, დაინიშნოს სამი პრემია ახალ ორიგინალურ პიესების ავტორთა დასაჯილდოვებლად. ჯერ-ჯერობით წარმოდგენილი იქნება ზედიზედ შემდეგი პიესები: 1. „შიო თავადი“, დედაბრიშვილისა და „ექიმთან“, გომართელისა; 2. „მეფე“ იუშკევიჩისა, თარგმანი ფილავასი; 3. „ივანობის ღამე“ ზუდერმანისა, თარგმანი აბაკელიასი და 4. ბარტელ ტურაზერი“ ლანგმანისა, თარგმანი დ. ბაქრაძისა.

◆ **შემლილი.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, 1905 წლის ოქტომბრის შემდეგ, როდესაც „პურ-ღვინოს“ რესტორანი მილეწ-მოლეწეს, პატრონი ამ რესტორანისა იაგორ მამინაიშვილი ჭკუაზე შეირყა. ეხლა მამინაიშვილი სულ ერთიან შერყეულა და სადღაც გაპარულა. ორი დღე ეძებეს მამინაიშვილი ქალაქის განაპირა ადგილებში, მაგრამ ვერ იპოვნეს. 24 ოქტომბერს მკვდარი ნახეს იგი ოქროყანის მახლობლად ხევში. როგორც ფიქრობენ, მამინაიშვილს ღამე გზა დაჰკარგვია და ხევში გადავარდნილა.

◆ **ვოსტორგოვი და ქართველი სამღვდელოება.** ცნობილი ვოსტორგოვი, „ზაკ.“-ს სიტყვით, საოცარის სისწრაფით მიიწევს წინ. ამ ჟამად მას დიდი გავლენა ჰქონია სინოდში, სადაც მისი აზრი ქართულ ეკლესიის შესახებ უცილობელ ჭეშმარიტებად მიაჩნიათ თურმე. რუსეთის გაზეთების სიტყვით, მოკლე ხანში დაიბეჭდება მისი დეპეშები, ტფილისიდან გაგზავნილი და საიდუმლო მოხსენება შესახებ საქართველოს ეკლესიისა. ეს მოხსენება უფრო იმით არის საინტერესო, რომ ვოსტორგოვი პირდაპირ ასახელებს იმ ქართველ მღვდლებს, რომელნიც მას მხარს უჭერდნენ და იბრძოდნენ წინააღმდეგ საქართველოს ავტოკეფალიისა.

◆ **საქმე ტერორისტულ აქტების შესახებ.** ტფ. ოლქის სასამართლოში 31 ოქტომბრისთვის დანიშნულია საქმე ალექსანდრე აფირიონიძისა, გიორგი შარუხიასი, სერგო ნეცუბიძისა, ვანო შალამბერიძისა და ვასილ ნანაბაშვილისა. ამათ სხვა და სხვა ტერორისტულ აქტის ჩადენას აბრალებენ. ცხრა თვე ნახევარია უკვე, რაც ესენი მეტეხის ციხეში იმყოფებიან. ბრალდებულთ დაიცავს ნაფიცი ვექილი მ. ა. კლანკი. საქმე გაირჩევა ხალხის თანადასწრებით.

◆ **ავაზაკის მოკვლა.** ზანგეზურის მაზრაში მოუკლავთ ავაზაკთა მეთაური ასტან-სულთან-ალი-ოღლი.

◆ **გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ტფ. გენ.-გუბერნატორის მიერ 25 მანეთით დაჯარიმებულ იქნა სახლის პატრონი ამირაღოვი, რომელმაც სავალდებულო დადგენილებანი დაარღვია; სამი თვით დაპატიმრებულ იქნენ ილია მოსულიშვილი იარაღის ტარებისთვის და ბორჩალოელი ემინ შარიფ ოღლი.

◆ **მოსკოვის ქართველთა საზოგადოება.** „მოსკოვის ქართველთა საზოგადოების“ გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ამ საზოგადოების კანცელარია დროებით იმყოფება თავმჯდომარის ამხანაგის ივ. თულაშვილის სადგომში—Москва, Воздвиженка, д. № 4/7 кв. 24, სადაც უნდა მიმართონ მსურველებმა ყველა კითხვით ანუ ცნობით.

◆ **ახალი გუბერნატორი.** გუშინ ჩამოვიდა ტფილისის ახალი გუბერნატორი.

◆ **ქართული წარმოდგენა.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, შემდეგი წარმოდგენა გამართოს ოთხშაბათს, 31 ოქტომბერ. წარმოსადგენად დანიშნეს პოტაპენკოს პიესა „გამოსყიდვა“, თარგმანი შალიკაშვილისა.

◆ **გაჩხრეკა.** გუშინ, 25 ოქტომბერს, პეტრეს ქუჩაზე მცხოვრებ ტფ. საკრედიტო საზოგადოების გამგე გამბაროვთან მივიდნენ ბინაზე პოლიცელები და ჯარის კაცები და მისი სახლი გაჩხრიკეს.

◆ თიანეთის მაზრის სოფელ ჟოკოლის გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ ცოტათი მაინც შეუმცირდეთ სახელმწიფო გარდასახადები, რადგან მოუსავლობით დიდ გაჭირვებაში არიან თურმე ჩავარდნილნი.

◆ თელავის მაზრის სოფელ ზემო-ხოდაშნის გლეხებს განუცხადებიათ მთავრობისთვის, რომ ხაზინამ მიწების დაგეგმვის დროს ჩვენი ადგილები მიითვისაო. სთხოვენ, უკანვე დაუბრუნდეთ წართმეული ადგილები.

◆ 24 ოქტომბერს, ღამის 12 საათზედ, პოლიციაში მივიდა ტერენტიევის მაგარ სასმელების საწყობის გამგე კ. ტერ-ასატუროვი და განაცხადა, რომ სპირტის დამტარებლებმა გ. სუხიაშვილმა და გ. მოსიანცმა რკინის ყუთი გაგვიტეხეს და გაიტაცეს 545 მან. პოლიციამ სუხიაშვილი დააპატიმრა, ხოლო მოსიანცი სადღაც მიიმალა.

◆ იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად «მათემატიკური გეოგრაფია», შედგენილი ბ-ნ ალექსი ჭიჭინაძისაგან.

◆ დღეს, 26 ოქტომბერს, „რენესანსის“ თეატრში წარმოდგენილი იქნება დრამა ტ. რამიშვილისა «მეზობლები». ეს წარმოდგენა ამას წინად იყო დანიშნული წარმოსადგენად, მაგრამ გადაიდო. ვინც მაშინ ბილეთები შეიძინა, შეუძლიანთ დაესწრონ დღეს იმ ბილეთებით. წარმოდგენა საღამოს 8 საათზედ დაიწყება.

◆ 24 ოქტომბერს, ღამის 1 საათზედ ლაზარევისა და ჟანდარმის ქუჩების შესართავთან მიმავალ სპარსეთის ქვეშევრდომ უსეინ-ტაგი ოღლის თავს დაეცა სამი შეიარაღებული კაცი და მოსთხოვა ფული, წაართვეს ფულად 150 მან., ვერცხლის საათი და მიიმალნენ. პოლიციამ დააპატიმრა ტფ. მცხოვრებნი არტემ აფრიამოვი და არშაკ ჰაირაპეტოვი. გაცარცვულმა იცნო ისინი. ჰაირაპეტოვი ამ გვარ საქციელისთვის ვიატკის გუბერნიაშიაც ყოფილა გადასახლებული, მაგრამ გამოქცეულა.

◆ 23 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ, ყუბანის ქუჩაზე წაიჩხუბნენ ალექსანდრე ხმალაძე და ვლადიმერ მერაბაშვილი. ხმალაძემ დანით სამგან დასჭრა მერაბაშვილი, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

## ფინლიანდია

15 ოქტომბერს ფინლიანდიის სეიმმა დიდის ბრძოლისა და ყოყმანის შემდეგ ძლივს-ძლივობით გადასწყვიტა საქმე 20 მილიონ მარკისა, რომელიც ფინლიანდიამ უნდა მისცეს რუსეთს ჯარის შენახვისათვის და ფინლიანდიის დაცვისთვის უცხო მტრებისგან. კომისია ორ თანასწორ ნაწილად გაიყო: ოთხი კაცი წინააღმდეგი იყო ფულის მიცემისა, ოთხი—მომხრე. წილი ჰყარეს და გამარჯვება უკანასკნელს დარჩა. ამ რიგად, კომისიამ საჭიროდ სცნო ფულის მიცემა და სეიმსაც შესაფერი მოხსენება წარუდგინა. 15 ამ თვის ფინლიანდიის სეიმი გაჭედილი იყო დეპუტატებით, სენატორებით და ფინლიანდიის მოწინავე საზოგადოებით. იმ დღეს ფინლიანდიის ბედ-იღბალი ბეწვზე ეკიდა. ცნობილ სენატორის, ფინლიანდიის სარევოლიუციო პარტიის ნამეთაურალის ლეო მეხელინის სიტყვით, საკითხი 20 მილიონ მარკის შესახებ „წარმოადგენს წყლიდან ამოშვერილ ქვას, რომელსაც შეიძლება დაეჯახოს ფინლიანდიის თავისუფლების გემი და რომელიც განგებ არის აღნიშნული პეტერბურგში შედგენილ რუკაზე“.

სოც.-დემოკრატ დეპუტატებთან ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდათ, მაგრამ ვერას გახდნენ. სოც. დემოკრატები ცივ უარზე სდგანან და ფულის მიცემას არ აპირებენ. ზომიერები ამბობდნენ, არჩევნებში ფინლიანდიის მტრებმა გაიმარჯვეს, ისინი ჩვენს უარს მიზეზად მოიღებენ და აგვიტეხავენ რასმესო. სოც. დემოკრატები უპასუხებდნენ, ფინლიანდიის თავისუფლებას ისედაც საფრთხე მოელის. რუსეთის მთავრობამ ძალა დაგვატანა და შეაკვეცა ჩვენი თავისუფლება. თუმცა იგი გარეგნულად ჩვენი ბატონ-პატრონი არ არის, მაგრამ ნამდვილად ჩვენ შინაურ საქმეებში ერევა და ნელ-ნელა უკან მიაქვს ესოდენ დიად ბრძოლით მოპოვებული უფლებებიო. ბოლოს კენჭის ყრამდე მოვიდა საქმე. წარმოადგინეს შვიდი რეზოლიუცია. ექვსი რეზოლიუცია უარჰყვეს, მეშვიდე რეზოლიუცია ფინანსურ კომისიისა მიღებულ იქმნა 65 ხმით წინააღმდეგ 55 ხმისა, 75 ბარათი ცარიელი ამოვიდა. უყარეს კენჭი თვითონ მთავარ საკითხს, მივცეთ თუ არ მივცეთ 20 მილიონიო. 109 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 91 ხმისა სეიმმა დაადგინა, მიეცეს რუსეთს 20 მილიონი მარკა.

# პროვინციის ცხოვრება

**ნაფიჩხოვო** (სამეგრელო). კავკასიონის მთის ძირში მდებარეობენ სოფლები ნაფიჩხოვო (ზუგდიდის მაზრა), კურზუ და გოდოგანი (სენაკის მაზრა). სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში ნაფიჩხოვოში გაჩნდა სახადიანი სენი „კისერა“ ანუ დიფტერიტი. ამ სენმა იმსხვერპლა ხუთი-ექვსი მოსწავლე სკოლისა. სენი მოედო მთელს სოფელს. ყველანი იძახდნენ, მოგვაშველეთ ექიმი და წამლებიო (ზოგიერთებს ეგონათ, ესენი მთიული ხალხია და წამალს არ მიეკარებიანო). რადგან წერილობით მოხსენებამ ვერ გასჭრა, მე თვითონ მივედი ზუგდიდის მაზრის უფროსთან და ვთხოვე, ექიმი გამოეგზავნა. მანაც ჯეროვანი განკარგულება მოახდინა, მაგრამ ზუგდიდის მაზრიდან ექიმს მაინც ვერ ვეღირსეთ. მხოლოდ ფერშალი მოვიდა, ავადმყოფების რიცხვი შეიტყო და ამით გაათავა საქმე. როდესაც სენი გავრცელდა სენაკის მაზრის სოფლებში კურზუსა და გოდოგანში, ცნობა მივეცით ნაოდავის ნაწილის ექიმს ბატონ იგლიანე ხოფერიას და ისიც დაუყოვნებლივ მოვიდა თავის ფერშლით, იახლა სამივე სოფლის ავადმყოფები, თან აძლევდა ყველას წამლებს და შესაფერ დარიგებას, რითაც იმედ დაკარგული ხალხი დიდად ანუგეშა. ავადმყოფთათვის მომვლელად ერთი კვირით ფერშალი გამოგზავნა [illegible] სენი მართლაც შეჩერდა [illegible] მადლობელნი არიან ექიმის ხოფერიასი, სამაგიეროდ უკმაყოფილებას უცხადებენ ზუგდიდის ნაწილის ექიმს, რომელმაც არ ინება მოსვლა. **დ. ბ.**

—

**ბახვი** (გურია). კარგა ხანია ცნობილია, რომ ს.-დ. იმათ, ვინც მათ არ ემორჩილება, ხალხის მტრობას და ყოველ-ნაირ სისაძაგლეს სწამებენ. ეს ჩვეულებრივი საშუალებაა იმათ ხელში თავიანთი ბატონობის განსამტკიცებლად. დიდი ხნიდან ს.-დ. მეთაურების მიერ შებოჭილი გურულები ამ ბოლო დროს თავისუფლებისაკენ მიისწრაფვიან. სტოვებენ ესდეკების პარტიას, რის გამოც ცილის-წამებით სავსე გოდრებს ანთხევენ იმათ თავზე ესდეკების კორესპონდენტები. გაზეთის „ეშმაკის მათრახის“ № 4-ში მოთავსებულია კორესპონდენცია ბახვიდან, სადაც გადამახინჯებით მოთხრობილია ნ. გოგოტიშვილის ბოიკოტის ამბავი. გოგოტიშვილს იმიტომ გამოუცხადეს ბოიკოტი, რომ იმან ესდეკების უსამართლო მოთხოვნილება არ აასრულა. გოგოტიშვილმა გამოუცხადა თავის მოწინააღმდეგეებს: „რადგან ბოიკოტს მიცხადებთ, ჩემ ადგილებსაც მოშორდით და შიგ საქონელს ნუ აძოვებთო“. ბოიკოტი კაცს გამოუცხადეს, რათა ამ შემთხვევით ესარგებლნათ და იმის ადგილებში თავიანთი საქონელი ეძოვებინათ, გამწარებულმა პატრონმა დაჰკლა ერთი ძროხა, (და არა სამი), როგორც ცილს სწამებს მას. ბოიკოტ გამოცხადებულ გოგოტიშვილს, როგორც უსამართლოდ დასჯილს, მხარი დაუჭირეს თანა-მოაზრეებმა და მუშაობაში დაეხმარნენ, რომ მოსავალი არ წახდენოდა. ბატონი კაკაბი კი ჯამბაზურ მახეებს გადადის და გაიძახის, ძროხის ხორცს საჭმელად ეწვივნენ გოგოტიშვილს იმის პარტიის კაცებიო. კორესპონდენციაში ჩამოთვლილი პირები დანძღვით არიან მოხსენებული კაკაბის მიერ.

იგივე კაკაბი გაზეთ „შურდულის“ მესამე ნომერშიაც ნავარდობს და ამბობს, ქვედა ბახვში შედგა ახალი პარტია მღვდლების, აზნაურებისა და დამსახურებულ გლეხობისა. შემდეგ კაკაბი უკიჟინებს ახალ პარტიას უზნეობას, მტაცებლობას და სხვას. ყველა ეს ცილის წამება არ ახალია, ძველი თინებია. კარგად ვიცით კაკაბისთანა ვაჟბატონების ფარული წადილი—ცილის წამებით თონს გასვლა. კაკაბი სწამებს თავის მოწინააღმდეგეებს ანტონ ჩხიკვიშვილისათვის ჩაქურას წართმევას. ეს ამბავი კარგად გამოირკვა. ყველამ იცის ეხლა, რომ ანტონ ჩხიკვიშვილს ესდეკების პარტიის წევრმა წაართვა ჩაქურა. სწორედ ამას ჰქვიან:

# ფელეტონი

## ცოტა რამ ბ-ნ ნ. ჟ—ნიას წიგნის შესახებ

(შემდეგი*)

რაც შეეხება კომმუნიზმს,—სრული ჭეშმარიტებაა, რომ კომმუნიზმი ბუნებრივი, საუკეთესო ფორმაა სოლიდარობის კანონის განხორციელებისა კაცთა შორის, და თვით პირველ-ყოფილი კომმუნაც ამითი აიხსნება. შემდეგ მისი არსებობაც ამითი აიხსნება, ამითი აიხსნება აგრეთვე მისკენ თანამედროვე კაცობრიობის მისწრაფება. ისტორიაში მართლაც ასე იყო. „კომმუნიზმი“ მუდამ იყო, იგი სავსებით არასოდეს არ გამქრალა, თანამედროვე მისწრაფება კი ის არის, რომ კომმუნიზმის ფართო, სავსებით განხორციელებას მივაღწიოთ საზოგადოების სრულიად ავტორიტეტისაგან განწმენდილის მოწესრიგებით, კონტრაქტის გამეფებით ავტორიტეტის მაგივრად ყველა საზოგადოებრივ ორგანოებში. ნ. ჟ—ნია იმას შეჰყავს აგრეთვე შეცდომაში, რომ მას ჰგონია, თითქოს კროპოტკინი ჩვენს იდეალში არსებულ, მომავალ კომმუნიზმის წარსულში არსებობას ამტკიცებდეს. ესეც **Матренка** არის და არა **Матрона**, ბ-ნო ნ. ჟ—ნიავ. წარსულში ისეთი კომმუნიზმი იყო, რომელიც მთელ მაშინდელ არსებულ პირობებს შეეფერებოდა, აწმყოშიაც ისეთია, მომავალშიაც ისეთი იქმნება, მხოლოდ მომავალში ჩვენა **გვსურს** და ვცდილობთ—ჩვენი **იდეალური** კომმუნიზმი განხორციელდეს. ხოლო ამ იდეალს ჩვენ ვაშენებთ განსაკუთრებით წარსულ კომმუნიზმის ტლანქ მასალისაგან, რომელსაცა ვსწმენდთ მომავლისათვის ყოველ მხრით, რაც კი ჩვენ ფანტაზიას შეუძლია. რატომ წარსულში არ განხორციელდა კომმუნიზმიო—ჰკითხულობს ნ. ჟ—ნია. ვთქვათ, რომ სოციალიზმს მივაღწიეთ. ჩვენც რომ გკითხოთ, მომავალში იმისთანა ადამიანებმა, რომელთაც თავიანთი იდეალური კომმუნიზმი ჰქონდეთ დახატული,—რატომ ეხლა არ არის კომმუნიზმი და წარსულშიაც არ განხორციელდაო, რას ვეტყვით?—რასაკვირველია, ბ ნი ნ, ჟ—ნია ან დაიბნევა, ან ისეთ პასუხს მისცემს, როგორსაც ეხლა იძლევა.

დიახ, კომმუნიზმის ისტორიული არგუმენტი სწორედ ისტორიაში უნდა ეძებო, მისი მომავალი განხორციელება მხოლოდ მაშინ იქნება დასაჯერებელი, თუ ეს ისტორიული ტენდენცია მართლაც ყოფილა.—უარ-ყოფის უარ-ყოფა კი, უკაცრავად ბ. ნ. ჟ—ნია, ნამდვილი მეტაფიზიკაა, იგი არც კომმუნიზმის განხორციელების არგუმენტია და არც კაპიტალიზმის დანგრევისა.

ან იქნებ თვით ფაქტს კომმუნიზმის არსებობისას უარ-ჰყოფს ბ-ნი ნ. ჟ—ნია? რასაკვირველია, თუ წარსულში მომავალს ეძებს ნ. ჟ—ნია და ვერ პოულობს, მაშინ იგი მართალია, მაგრამ უცნაურია, მეტი რომ არა ვთქვათ,—თუ იგი, კომმუნისტურ ტენდენციებსა ჰყოფს უარს; მაშინ კროპოტკინისა და ისტორიკოსების რა ბრალია, თუ ბ. ნ. ჟ—ნია ზარმაცობს და ისტორიას არა სწავლობს!

ეჰ, რამდენი რამ ჩამოვთვალო! აკი მოგახსენეთ, ნ. ჟ—ნიასთანა მწერალი რომ გაარჩიო, თვითოეული მისი სიტყვა უნდა განიხილო, თვითოეული შარი უნდა აიცილო თავიდან, თვითოეული ფრაზა უნდა ამტვრიო, იმის საკუთარ ენიდან უნდა სთარგმნო ადამიანურ ენაზედ ყოველისფერი და ისე უნდა გაარჩიო, ე. ი. ნ. ჟ—ნიას 200 გვერდიან ბროშიურაზედ უნდა მიუგო პასუხი 500 გვერდიანის წიგნით, და რისთვის? ორი სისულელის სისულელე რომ დაამტკიცო! ვერ არის სახარბიელო შრომა, ხოლო თუ ჩვენ რამდენიმეთ ვეწევით ამ შრომას, ეს იმიტომ, რომ ჩვენში კამათი ცირკობანა ჰგონიათ, და თუ ყოველ სისულელეს პასუხი არ გაეცი, ჰგონიათ, პირველმა მთქმელმა დიდი ჭეშმარიტება წარმოსთქვაო.

კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ ბ-ნი ნ. ჟ—ნია ასეთი მწერალია. კროპოტკინი ამტკიცებს, რომ თანამედროვე ბურჟუა უსაქმო არ არის, მხოლოდ ჩვენ ისე უნდა მოვაწყოთ საზოგადოება, რომ ბურჟუას შრომა არ იყოს სხვისი დაკლება, არ იყოს არა-მწარმოებელი, არ იყოს უსარგებლო, და ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც თანამედროვე მოწესრიგება საზოგადოებისა, განსაკუთრებით საკუთრებისა,—შეიცვლება და ბურჟუის შრომაც სხვა სოციალურ წესით ცხოვრების დროს სხვა შედეგების მომტანი იქნებაო. ბ-ნ ნ. ჟ—ნიას კი უბრალო ენერგიის ხარჯვა, უბრალო შრომა ვერ გაურჩევია ინდივიდუალურ შრომის პროცესსის წარმოების სოციალურ წესისაგან და გაიძახის—ჰა მაგას, კროპოტკინის აზრით მუქთახორები არ არიან, იგი ბურჟუაა და სხვა. არა, ბ-ნო ნ. ჟ—ნია, შარსაც ლაზათიანად შეხანხვლა უნდა, თქვენ ესეც არ შეგძლებიათ!

დიახ, ახირებულია ასეთი ხალხი, ასეთი მწერლები! მათ ხომ არც ფილოსოფიური, არც მეცნიერული ჭეშმარიტება არ აინტერესებთ, მათ მხოლოდ პარტია აინტერესებთ, მათ მხოლოდ მრწამსი აინტერესებთ,—მრწამსი, ურომლისოდაც ცხოვრება არ შეუძლიანთ, და ამ მრწამსის დასაცველად არაფრის თქმას არ დაერიდებიან, ძალას დაატანენ ფაქტებს, ისტორიას, ამ მრწამსის პრივილეგიად გახდიან მთელ ფილოსოფიასა და მეცნიერებას. აზრის გულწრფელობაზედაც და იმ ცდაზედაც, რომ დამოუკიდებლად აამუშავონ ცარიელი თავები—უკაცრავად გახლავან. ნ. ჟ—ნიამაც ასე ააშენა ეს უცნაური და უშნო „ეშაფოდაჟი“.

შემდეგ ბ-ნი ნ. ჟ—ნია ლაპარაკობს რეფორმებზედ, პარტიულ ორგანიზაციაზედ, ტაქტიკაზედ, რევოლიუციაზედ, სინდიკალიზმზედ და, რასაკვირველია, ისეთივე გულ-წრფელობით და ანალიზის ნიჭით, როგორც ფილოსოფიაზედ, მეცნიერებაზედ და სოციოლოგიაზედ. მთელი ანარხიზმის ფილოსოფიიდან ნ. ჟ—ნიას აი რა დასკვნა გამოუყვანია: 1) **ანარხიზმი აღმერთებს პიროვნებას**, 1)—მაშ როგორა გგონიათ, ბ-ნო ნ. ჟ—ნიავ? მე მგონია, ყოველი სოციალისტი ამასვე უნდა სჩადიოდეს, პიროვნების თავისუფლებისკენ უნდა მიისწრაფოდეს საბოლოოდ, და თუ თქვენი პარტიის ფილოსოფია იცით, მისი იდეალიც ეს არის; როცა მათ ეუბნებიან წინააღმდეგს, ისინი საშინელის თავ-გამოდებით იცავენ ამ პიროვნების თავისუფლებას. გარდა ამისა, თქვენ არც კი იცით, რა არის პიროვნების თავისუფლება და ისე ეწევით იმის კრიტიკას. პიროვნების თავისუფლება თქვენ სოციალურ ცხოვრების ფარგლიდან გამოსვლა გგონიათ. ამისი მიზეზი კიდევ ის არის, რომ წარმოდგენა არა გაქვთ „სოციალურ ფაქტზედ“. 2) **ანარხიზმი უარ-ჰყოფს მოვლენათა აუცილებლობას.** თქვენ, ბ-ნო ნ. ჟ—ნიავ, ფატალიზმი ვერ გაგირჩევიათ დეტერმინიზმისაგან, არ შეგიძლიანთ „აუცილებლობის კანონის“ ფორმულა დახატოთ, და მიტომ ფილოსოფოსობთ მაგრე. 3) **ანარქიზმი უარ-ჰყოფს კლასსთა ბრძოლას.** ეს პირდაპირ თქვენი გაუგებრობაა, თვით ცნება „კლასსისა“ არ იცით, თორემ როგორ შეიძლება ადამიანი კლასსთა ბრძოლას უარ-ჰყოფდეს და თანაც მთელ არსებულ საზოგადოებრივ განწყობილებათა შეცვლა უნდოდეს კომმუნიზმისა და თავისუფალ შეთანხმების საფუძველზედ. 4) **ანარქიზმი აღიარებს ბოროტების მთავარ მიზეზად სახელმწიფოსა და კანონს.** ჯერ ერთი—**მთავარ მიზეზად** სრულიადაც არ აღიარებს; მეორე—თქვენ რომ იცოდეთ რა არის ან „კაპიტალიზმი“, ან „სახელმწიფო“, ან „კანონი“, თქვენ რომ შეგეძლოთ სოციალურ-მოვლენათა ანალიზი და, განსაკუთრებით, მათი განსაზღვრა; თქვენ რომ იცოდეთ, რა არის „ეკონომიური“, „იურიდიული“, „პოლიტიკური“ — მაშინ ისიც გეცოდინებოდათ, რომ „ბოროტების მიზეზი“ სრულიად ისეთი არ არის, როგორიც თქვენ წარმოგიდგენიათ — „თქვენი ეკონომიური პირობები“, არამედ გაცილებით უფრო რთული და ამასთანავე ეკონომიური პირობები განსაზ-

*) იხ. „ისარი“ № 283

1) გვ. 125.

ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალით. ესდეკი კაკაბი ახალ პარტიას თავის სასარგებლოდ ხალხის გაყვლეფას აბრალებს. ნუ თუ ვინმე დაიჯერებს, რომ ესდეკების უთვლ თვიურ გადასახადებით გაძვალტყავებულ ხალხის კიდევ გატყავება შეიძლება!

ამას წინად გაზეთის საშუალებით ცილი დასწამეს ახალ პარტიას: ალექსი გიორგაძის გაცარცვას აბრალებდა ბ. სუსლი. ეს საქმეც კარგად გამოირკვა და ადგილობრივ ყველამ იცის, რომ ეს საქმე ჩაიდინა ს.-დ. პარტიის ორმა წევრმა ერთის ხულიგანის თანხლებით.

ს.-დ. პროგრამა ბახვში ისე დახურდავდა, რომ ერთ სალდავ აბაზზე ტრიალებს. ვინც აბაზს გადიხდის, იგი ნამდვილი წევრი და ს.-დ. არის. თვით პარტიის მეთაურებშიაც ისეთ კაცებს შეხვდებით, რომელთათვისაც ზნეობა უცხო ხილია. ხშირად მოხდება ხოლმე, ესდეკების პარტიის წევრი რაიმე საძაგლობას ჩაიდენს, რაიცა თავისიანებისაგან ადვილად მოეტევება. ასეთია მაგალითად ადგილობრივ მონაზონ თეკლეზე თავდასხმა და სხვა.

ამას წინად ქვედა ბახვში შემდეგი ამბავი მოხდა, რომელიც ნათლად მოწმობს ესდეკების ზნეობრივ მიმართულებას. მთავრობამ გადასახადი გააწერა ხალხს კომლზე 1 მ. 60 კ. ამით ისარგებლეს პარტიის მეთაურებმა, წმინდა წრეთ სახელწოდებულებმა, და თვითეულ კომლს ოთხი მანეთი გადაახდევინეს. ხალხმა მალე გაიგო ეს ხრიკები, ცხარე პროტესტით მიმართა და ზედმეტად გადახდილი ფული დააბრუნებინა.

**შუბარდენი.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული წარმოდგენა.** 23 ოქტომბერს ქართულმა დასმა წარმოადგინა იუშკევის პიესა თარგმანი ვლ. ცაგარლისა. გულ-ქვა, პირქუშ დინას როლი არა ბუნებრივია. მაყურებელს ჰგონია, ცრუკლასიკურ ნაწარმოებს უყურებს. მხოლოდ ცრუკლასიკებს ჰქონდათ ჩვეულებად ისეთ ტიპის დახატვა, რომელიც ან განხორციელებული სიბოროტე უნდა ყოფილიყო, ან განხორციელებული სიკეთე. ახალი დრამა განსაკუთრებით იმითია კარგი, რომ უმშვენიერეს არსებაშიაც ჰხედავს ცუდს მხარეებს და უსაშინელესშიაც—კარგს. დინა კი ავტორის ფანტაზიის ნაყოფია, დინასთანა ადამიანები ქვეყანაზე არ არსებობენ; იგი განხორციელებული სიბოროტეა, აღსავსე ყოველგვარის ბინძურებით, მას ძარღვებში სისხლის მაგიერ წყალი უდგას, ნერვების მაგივრად თოკები აქვს გაბმული. არავითარი ნიშანწყალი ადამიანობისა. თქვენ წინა სდგას გამოქანდაკებული სიბოროტე, რომელზედაც ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს ვერც ტანჯვა-ვაება შვილებისა, ვერც ქადაგება ძველის მეგობრისა და ვერც თვით სიკვდილი 18 წლის ქალისა. უსაშინელეს ბოროტებას იგი გულ-დამშვიდებული უხვდება და ყოველს თავის საზიზღარ ფეხის გადადგმას ფილოსოფიურ ხასიათის რეპლიკებით ამართლებს.

პიესაში სჩანს, რომ წინად გლანკის (კ. ყიფიანი) ოჯახს კარგა უცხოვრნია, ყოფილა ისეთი დრო, როდესაც იგი ოთხას თუმანსაც იღებდა წელიწადში, მაგრამ ეხლა უადგილოდ დარჩა, გაღარიბდა და ქალებს დააწვა კისერზე. უზრუნველყოფილ ცხოვრებას მიჩვეული დინა, (ნ. გაბ.-ცაგარლისა), ცოლი გლანკისა, ვერ უძლებს სიღარიბეს და აიძულებს თავის უფროს ქალს სონას (ნ. ჩხეიძე) გაჰყიდოს თავისი თავი და სახლში ფული შემოიტანოს. დედა დაარწმუნებს ქალს, ცხოვრება ამას გვეუბნება, და ჩვენც წარბ-შეუხრელად ასე უნდა მოვიქცეთო. სონას ეძნელება თავის გაყიდვა, მაგრამ დედის ქადაგება თითქოს გავლენას ახდენს მასზე, და ისიც ჰყიდის თავის ქალწულებას.

მაგრამ გაუმაძღარი დინა ამითი არა კმაყოფილდება, მას სურს ევაც იმ გზაზე დააყენოს, რომელზედაც სინა სდგას. ევა (ე. ანდრონიკაშვილი) ერთის შეხედვით უფრო სუსტი და ჩვილ ხასიათისა სჩანს, მაგრამ დედის იერიშს მაინც მაგრა დაუხვდა და თავი არ გაიყიდა. ევას უყვარდა ახალგაზდა კაცი ბოიმი, რომელიც ამ ოჯახში სცხოვრობდა და რომელიც ერთავად იმაზე ოცნებობდა, რომ საზღვარ-გარედ წასულიყო და იქ ბერლინის გაჩაღებული ქუჩები და ბისმარკის ქანდაკება ენახა. ბოიმი ტუტრუცანა ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ ატმოსფერა, რომელშიაც უხდებოდა ცხოვრება ევას, ისეთი საძაგელი იყო, რომ ადვილად შეეძლო ბოიმი შეეყვარა. გლანკის ოჯახს ეწვევა ძველი ნაცნობი ბეერი (ს. ივანიძე), რომელსაც თავი დაინებებინა ძველებურ ცხოვრებისთვის, ქარხანა მუშებისთვის გადაეცა და თვითონ კი უბრალო მუშად გადაქცეულიყო. იგი გულ-დასმით ეკიდება იმ საკითხებს, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებას ამღელვარებს და დარწმუნებულია, რომ 5—10 წლის შემდეგ „ყველაფერი შეიცვლება“ და „უკეთესი გახდება“. ბეერი სცდილობს მოარჯულოს დინა, სონას ერთავად იმას ჩასჩიჩინებს, რომ სიკვდილი სჯობიან უზნეო სიცოცხლესაო. მისი ქადაგება დინაზე ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს, სონაზე კი ისე მოქმედობს, რომ თვით თავს ანებებს გარყვნილ ცხოვრებას. აქედან იწყება სცენები დედასა და შვილის შორის. დედა ძალას ატანს სონას, რომ ისევ ძველ ცხოვრებას დაუბრუნდეს, სონა კი არა ყაბულდება. ბოიმი საზღვარ-გარედ წავა, და იმედ-გადაწყვეტილი ევა ყელს გამოიჭრის. სონას შვილი ეყოლება, მაგრამ დინა წაართმევს მას და ვიღაც ბებერ დედა-კაცს გაატანს. და იმ დროს, როდესაც ცხოვრებისაგან გატანჯული სონა დაჭრილი ნადირივით მიბღავის უკანასკნელ იმედს, შვილს, დინა, ბნელეთის მოციქულსავით გასძახის: „ეხლა კი ახალი დრო დაგვიდგა, ახალს ცხოვრებას შევუდგეთო“.

დედა-ძარღვი პიესისა იმ დრამაში მდებარეობს, რომელიც ატეხილია დედასა და შვილებს შორის. ერთს მხარესა სდგას გულ-ქვა, პირ-ქუში დინა, რომელსაც ოქროებათა და სპილენძათა სურს აქციოს ქალების ახალ-გაზდობა, მეორეს მხრით კი—პაპა (ვალ. გუნია), გლანკი, სონა და ევა.

როგორც ზევითაცა ვსთქვით, პიესა სავსეა არა ბუნებრივის ელემენტებით, სავსეა მელოდრამიულის სცენებით, რომლებიც, მართალია, ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს გრძნობაზე, მაგრამ გონებას კი სრულიად არაფერსა მატებს.

პიესის უმთავრეს პირის—დინას როლი ნ. გაბ.-ცაგარლისამ ძალიან ცუდად გაატარა. მაყურებელს წინ წარმოუდგა არა ძლიერი, გულ-ქვა ადამიანი, რომლის გულიც არა დრკება არავითარ სიბოროტის წინ, რომლისათვისაც არ არსებობს არავითარი პატიოსნური გრძნობა, არც მშობლიური, არც საზოგადო კაცობრიული, არამედ უფერული, ჩვეულებრივი კაპასი დედა კაცი. გაბუნია—ცაგარლისა არც არის ამაში დამნაშავე: დინას როლი საიმისო როლი არ არის. საუცხოვოდ შეასრულა სონას როლი ნინო ჩხეიძემ. ამ მსახიობმა სავსებით გადმოგვცა ახალგაზდა ქალის, სულიერად და ხორციელად დატანჯულ ადამიანის სულის კვეთება. ყოველი იმისი სიტყვა და მიხვრა-მოხვრა ბუნებრივი და გულწრფელი იყო. კარგად შეასრულა თავისი როლი ე. ანდრონიკაშვილმა. მართალია მას ხმა არ უვარგა, მაგრამ იმ ადგილებში, სადაც ძლიერ გრძნობის გადმოცემა იყო ხოლმე საჭირო, ეს ნაკლიც იკარგებოდა. ე. ანდრონიკაშვილს საკმაო გრძნობა აქვს და, თუ როგორმე ხმას გაისწორებს, კარგი მსახიობი დადგება.

დანარჩენ მსახიობებს, გარდა ს. ივანიძისა, არა უჭირდა-რა. ივანიძემ ბეერის ტიპი ვერ დაგვიხატა. წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო.

**არ. ჯ—შვილი.**

—

**ქუთაისი.** წარსულს კვირაში ქუთაისის ქართულმა დასმა ორი წარმოდგენა გამართა. 18 ოქტომბერს დასდგა კარეევის კომედია „მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა“ (КУКУ) და ვოდევილი „დედის ერთა“; 21-ს კიდევ ჰეერმანის ახალი დრამა: „იმედის დაღუპვა“ და ვოდევილი: „ჩემი ბრალია“. პირველს წარმოდგენაზედ ბევრი არა ითქმის რა იმის გარდა, რომ კომედია სრულიად უშინაარსო, უფერულია და მხოლოდ სასაცილო ეფექტებზედაა დამყარებული და, მართლაც, იგი სიცილს იწვევს საზოგადოებაში. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ თითქმის ყველა მოთამაშე ისე სუსტობდა, რომ ამით პიესის უშინაარსობას უფრო შეუწყეს ხელი. ვოდევილმა „დედის ერთამ“ გაცილებით უფრო კარგად ჩაიარა.

უფრო საინტერესო იყო კვირის წარმოდგენა. ჰეერმანის დრამამ „იმედის დაღუპვა“-მ ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა, როგორც ეტყობოდათ არტისტებს, ძალიან საჩქაროდ მოემზადებინათ იგი, ისე საჩქაროთ, რომ როლების უცოდინარობა აქაც ძალიან უშლიდათ ხელს.

პიესის დედა აზრი—თანამედროვე დაწყევლილი საკითხია: ერთის გამდიდრება მეორის ოფლით, ფუფუნება და ათასობის შიმშილი, სიცივე, დაღუპვა, გათახსირება. როგორც ჰხედავთ, თემა არ ახალია, ბევრი დრამა და მოთხრობა დაწერილა ამ საგანზე, მაგრამ ჰეერმანს ისე კარგადა აქვს აკინძული სურათები, ისე მარტივად, ხან გულ-გასაგმირის სინამდვილით აქვს აწერილი დაძაბუნებულ, ნახევრად მშიერ მეთევზეთა ცხოვრება, მათი სულის კვეთება, რომ მაყურებელზე დიდს შთაბეჭდილებას ახდენს. მოქმედება ზღვის პირად მდებარე ქალაქში ხდება. ქალაქში ბატონობს ოდესღაც მეთევზედ ნამყოფი, მერე როგორღაც გამდიდრებული კლემანს ბოსსი (ბალანჩივაძე), გემების პატრონი. იგი თავის შეძლებით დაბეჩავებულ მეთევზეებს სისხლსა სწოვს. ესენი კი, იმ შიშით, რომ შიმშილით არ დაიხოცნენ—ყველაფერს სთანხმდებიან. ესმით მეთევზეთ თავიანთი უკიდურესი მდგომარეობა, ჩუმად პროტესტსაც აცხადებენ, მაგრამ რას იზამენ, როცა, ჯერ ერთი, ჰშიანთ და, მერე, ბოსის მხარეზეა ძალა, პოლიცია და საპყრობილე. იმდენად გათამამებულია ბოსი, რომ მარტო სავაჭრო საქმეებს აღარ სჯერდება, მეთევზეთა კერძო ცხოვრებაშიც კი ერევა, პოლიციასთან აბეზღებს, რომ ისინი რევოლიუციურ სიმღერებს მღერიან, ლოთობენ და სხვა.

ბოსი სათევზაოდ ჰგზავნის ზღვაში თავის დამპალს გემს „იმედს“ და თან 12 კაცს აყოლებს. გემის წასვლამდე დურგალი სიმონ აცნობებს ბოსს გემის უვარგისობას; ეუბნება, რომ გემის გვერდები სულ ერთიან დამპალია, მაგრამ განა ეს მცირე რამ ბოსისათვის საყურადღებოა? მნიშვნელოვანი [illegible] აქვს, რომ გემი, რომელიც დაზღვეულია, დაიღუპოს და [illegible] 14 [illegible] დენი აიღოს. ის თორმეტი კაცი რომ დაიღუპება—რა უშავს? მათ ამ თოთხმეტ ათასიდან რამდენსამე გროშს გადაუგდებს ქვრივ-ობლებისათვის, თავ-შესაფარს შესწირავს რასმე და მორჩება და გათავდება.

მეთევზის ქვრივი კნირტიე თავის ორ შვილსა ჰგზავნის ამ გემზედ. ამათზე მეტი მას აღარავინ გააჩნია ქვეყანაზედ, ქმარი და ორი სხვა შვილი წინად იმსხვერპლა ზღვამ. ისე ჰყავს ობობას ქსელში გაბმული ბოსს მეთევზენი, რომ კნირტიე თავის უმცროსს შვილს ძალად აგდებს გემზედ—წინადვე აქვს გამორთმეული ჯამაგირი, თუმცა ბარენდმა იცის სიმონისაგან, რომ გემი კუბოს მაგიერობას გაუწევს ყველას. შემაძრწუნებელი სცენა ხდება დედასა და შვილს შორის წასვლის წინ. შვილი ეხვეწება, ნუ მგზავნი, სასიკვდილოდ ნუ მიმეტებო, მაგრამ ბოსსი პოლიციით წაათრევს გემზედ. მიდის აგრეთვე ჰეერტი (ზარდალიშვილი), ახლად დაბრუნებული საპყრობილედან, სადაც ექვს თვეს იმიტომ იჯდა, რომ უფროსების უსამართლობა ვერ მოითმინა, თავის დანიშნულის ნამუსი დაიცვა და უფროსს ხელი შეუბრუნა.

გემი იღუპება...

რამდენი ობოლი, დედა, დანიშნული, და და-ძმა ეძლევა წუხილსა და სასოწარკვეთილებას! ბოსი კი ამ ამბის გაგების უმალ ტელეფონით დამზღვევ ამხანაგობას ელაპარაკება 14 ათას გულდენზედ. კარგადა აქვს აწერილი ჰეერმანს ეს აუტანელი წუხილი, არა ნორმალური განწყობილება ორს მოპირდაპირეს შორის. სიშინელს შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზედ მეოთხე მოქმედება, როდესაც ბოსსის კანტორა ხალხით ივსება ამბის გასაგებად, ანგარიშის მოსათხოვად. აქ არიან კნირტიე, იო, სიმონ, კობუს, მარიტიე... ყველა უადრესათ იტანჯება, ყველა ამტყუნებს ბოსს. სიმონი პირდაპირ ეუბნება ბოსს, რომ ჩემ გაფრთხილებას ყურადღება არ მიაქციაო, მაგრამ სიმონის მიერვე თავის გასამართლებლად დასახელებული მოწმენი ბოსის ქალი კლემენტინა (ქ. ქილარჯიშვილი) და მისივე ბუხჰალტერი კაპს (ბ. ჩარკვიანი) უსინდისოდ უარს ამბობენ, სიმონის სიტყვები არ გაგვიგონიაო. ძლიერია უკანასკნელი სცენა, როდესაც თითქმის მწუხარებით ჰკუიდან შეშლილს კნირტიეს ნუგეშად სადილიდან ნარჩენ ორს კატლეტს აძლევენ და ყოველ კვირა მუშაობას ჰპირდებიან...

---

ღვრულ მომენტში შესდგება ყველა ზემოხსენებულ ელემენტთაგან. 5) **ანარქიზმი უარ-ჰყოფს დემოკრატიას, კონსტიტუციას, უმრავლესობის მმართველობას,** — იმიტომ რომ ყოველივე ეს სრულიად ეწინააღმდეგება იმ სოციალურ მოწესრიგების წესს, რომელიც იქმნება თვით ესსენცია სოციალიზმისა. 6) **ანარქიზმი უარ-ჰყოფს რეფორმებისათვის ბრძოლას, პარტიის შედგენას, მტკიცე ორგანიზაციის საჭიროებას,**—პარლამენტარულისა და კანონიერის წესით, ბ-ნო ნ. ჟ—ნიავ, პოლიტიკურ-კანონიერ-საარჩევნო დესპოტიურ პარტიის შედგენას, ბ-ნო ნ. ჟ—ნიავ, იეზუიტურ ორგანიზაციის საჭიროებას, ბ-ნო ნ. ჟ—ნიავ!

7) **ანარქიზმის მიზანია—პირდაპირი ანარქია, ე. ი. უმართველო კომმუნიზმის დაარსება.**—მართალია, რადგან არც „რა პირდაპირი“ ანარქიაა წარმოსადგენი, და პირდაპირი ანარქიისათვისაც უნდა ვემზადოთ მუდმივ,—არც სახელმწიფო კომმუნიზმი გვრწამს.

8) **ანარქიზმის მორალია: გააკეთე რაც გსურს, გააკეთე როგორც გსურს.** ეს მორალი ისეთი ფილოსოფოსისაც არის, როგორიც იყო მ. გიუიო, თქვენ რომ ვერ იცნობთ, და თქვენ თუ ეს ისე გესმით, როგორც სიგიჟე და სოციალურ მოწეს-რიგების დაშლა,—ეს ან გიუიოსი, ან ანარქიზმის რა ბრალია! წაიკითხეთ თუ გინდ გიუიოს წიგნი L'Esquisse d'une morale sans sanction ni obligation, ანუ თუ გინდა კროპოტკინის la Morale anarchiste და გაიგებთ, რომ სულ სხვა რამე ყოფილა კიდევ რაბლესაგან თქმული „fais ce que tu veux!“

როდესაც ადამიანს ასეთი წარმოდგენა აქვს ანარქიზმის ფილოსოფიაზედ, რასაკვირველია, იგი შესაფერ „ტაქტიკას“ გამოიყვანს ამ „ფილოსოფიიდან“. აკი ბ-ნი ჟ—ნიაც აჭრელებს მთელ ას გვერდს ამ ტაქტიკაზედ! მაგრამ რა გამოვიდა,—არავითარი კრიტერიუმი მსჯელობისა არც ერთ საკითხში ამ ადამიანს არა აქვს. მსჯელობს ნარდად და არ შეუძლიან უბრალო განსხვავებათა და მსგავსებათა გათვალისწინებაც. ანარქისტები პროგრამა-მინიმუმს უარ-ჰყოფენო, ამბობს ბ-ნი ნ. ჟ—ნია, უარ-ჰყოფენ რეფორმებს, თანაც ბეჭდვის, სიტყვის და სხვა თავისუფლებისათვის, რეფორმებისათვის იბრძვიანო. ეს იმიტომ, ბ-ნო ნ. ჟ—ნიავ, რომ ანარქისტებმა ძლიერ კარგად იციან, რა განსხვავებაც არის რეფორმებისათვის ბრძოლათა შორის პარლამენტის საშუალებით, და პირდაპირი მოქმედებით. ერთია მოქმედება სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად, მეორე—გარეშე ამ დაწესებულებათა. გამოაკელით პარლამენტარიზმი თქვენ პროგრამას, მინიმუმი წაიშლება, მიუმატეთ პარლამენტარიზმი ანარქიზმს—იქ „მინიმუმიც“ შეიცვლება და მაქსიმუმიც.

თუმცა თქვენ „მინიმუმს“ განსახორციელებელ „რეფორმებს“ ეძახით, მაგრამ რომ გამოაკლოთ თქვენი წესი განხორციელებისა—სახელმწიფო წესი—მინიმუმს სრულიად დაეკარგება აზრი, და მთელი პროგრამმის გაყოფა მაქსიმუმად და მინიმუმად აბსურდი შექნება. თვით ისტორიაც მინიმუმის წარმოშობისა ამას ამტკიცებს.]

ეს კიდევ არაფერი. ს.-დების აზრით, თვით დიდი სოციალური რევოლიუცია უნდა მოხდეს სახელმწიფოს საშუალებით, თვით რევოლიუციის უპირველესი აქტი უნდა იყოს სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება. ბ-ნ ნ. ჟ—ნია, რასაკვირველია, ვერაფრით ვერ ამტკიცებს რევოლიუციაზედ ასეთ შეხედულების სოციალისტურ ხასიათს. ჩვენ კი მას არ გამოვუდგებით. მთელი პატარა შრომა გვაქვს დაწერილი ამ საკითხზედ, სადაც ჩვენი ფიქრით ნათელ-ვყავით მთელი უსაფუძვლობა „დიქტატურისა“ და სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდებისა. ვიტყვით მხოლოდ, რომ მუშათა პირველი ლოზუნგი, როგორც ინტერნაციონალში, ისე ახლა—„მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა მიერ“ იყო, ე. ი. შექმნა მუშათა ისეთი ორგანიზაციებისა, შექმნა თანამედროვე სარევოლიუციო ორგანიზაციებშიაც იმ ორგანოთა, რომელთაც სახელმწიფოსთან არავითარი კავშირი არ ექმნებოდათ, არც ემსგავსებოდნენ არაფრით თანამედროვე სახელმწიფოს ორგანოებს; ეს მართლაც აღასრულეს ბაკუნისტებმა იურის „ფედერაციაში“ (და არა ცენტრალისტურ ორგანიზაციებში), ესპანიის მუშათა ფედერაციებში, თანამედროვე სინდიკალიზმმა, რომელსაც ბ-ნი ნ. ჟ—ნია ისე ითვისებს, თითქოს მისი მოწყობილი იყოს! ანარქისტებს სწორედ ასეთი პარტიები სწამთ—თვით-მომქმედი მუშათა ორგანიზაციები და არა პოლიტიკანთა ცენტრალური კომიტეტები; ამას ამტკიცებს მთელი ისტორია მუშათა მოძრაობისა, რომელსაც ანარქისტული პრინციპი ჰქონდა საფუძვლად ინტერნაციონალის დროს მე-70 წლებში, ამერიკაში მე-80 წლებში, ესპანიაში მუდამ, ეხლა კი საფრანგეთში, ჰოლლანდიაში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, იტალიასა და ბელგიაში ნაწილად და, ასე გასინჯეთ, ამ ბოლო დროს გერმანიაშიაც-კი. მაგრამ არც ამაზედ ლაპარაკი შეადგენს ჩვენს მიზანს ამ წერილში. ტრაბახი იმის შესახებ,—არა ჩვენ მეტი და უკეთესი პარტია გვყავს, არა ჩვენო—ეგ ს.-დემოკრატების საქმეა; და მხოლოდ ვისაც ეინტერესება, ის თვითონ გაიგებს, თუ ვისი საქმე როგორაა. ეს კი ვიცით, რომ ამ ბოლო დროს თითქმის ყველა ქვეყანაში კარგად გაუმასპინძლდნენ მუშები ს. დ—ებს, გერმანიაშიაც კი!..

საყოველთაო გაფიცვასაც თავისი ისტორია აქვს, ბ-ნო ნ. ჟ—ნიავ, და თუ ეს ისტორია იცით, ისიც გეცოდინებათ, თუ რა როლი ითამაშეს აქ ს. დ—ებმა, ანარქისტებმა და, საზოგადოდ, როგორი იყო განწყობილება ანარქიზმისა და სოციალ-დემოკრატიზმისა საყოველთაო გაფიცვასთან. თქვე დალოცვილო, წაიკითხეთ მაინც შესანიშნავი დოკუმენტი, რომელსაც ჰქვიან: Enquête Internationale sur la greve Générale, opinions et documents, რომელიც „Mouvement socialiste“-ში იყო დაბეჭდილი 1904 წელს (№ 137, 138, 139 etc.); იქ გაიგებთ თქვენს აზრსაც საყოველთაო გაფიცვაზედ, აგრეთვე ანარქისტებისა და სინდიკალისტების აზრსაც. სხვა არა იყოს რა, ეს ანკეტა ნასოციალ-დემოკრატალ ხალხისაგან არის შეკრებილი; იქ ყველა ქვეყნის სოციალისტებისა და ანარქისტების აზრია. მაშინ ნახავთ—ვის უნდა „ეხლავე სოციალური რევოლიუციის დაწყება“ და ვინ არის წინააღმდეგ საყოველთაო გაფიცვისა, რისთვის მოიგონა ს. დ—ამ, განსაკუთრებით გერმანიაში „მასსიური პოლიტიკური გაფიცვა“; თორემ ისე ლაპარაკი, უსაბუთოდ, უდოკუმენტოდ, შარსა და ლანძღვაზედ აგება არგუმენტაციისა, არ გეგონოთ, ბ-ნო ნ. ჟ—ნიავ, თქვენ სასარგებლოდ წავიდეს,—დაგიჭერენ როდისმე, როდესაც ვეღარ შეხანხლავთ რასმე თქვენებურად-ძველებურად-იეზუიტურად, ცოტა სიტლანქე გამოგერევათ რაშიმე და მერე მშვიდობით!.

მაშასადამე, არც აქ შეგვიძლიან კამათი ბ-ნ ნ. ჟ—ნიასთან, რადგან საყოველთაო გაფიცვას მთელი დიდი ისტორია აქვს, რომელსაც ნ. ჟ—ნია ამახინჯებს, არც კი საზღვრავს, რა არის განსაკუთრებით ანარქისტების საყოველთაო გაფიცვა; თან ისეთ რამეებს გვაწერს, როგორც სოციალურ რევოლიუციის ხვალვე დაწყებას; მაშინ როდესაც ანარქისტები და, განსაკუთრებით, სინდიკალისტები საყოველთაო გაფიცვას სხვათა შორის ისე უყურებენ, როგორც საუკეთესო იარაღს, რეფორმათა ძალით გამოგლეჯისათვის, პარლამენტარიზმის მაგიერ; ამიტომაც იყვნენ იმის წინააღმდეგ პარლამენტარისტ სოციალ დემოკრატები. ლოღიკური არ იყო, რომ იძახდა—la gréve générale, el on ne vote plus! (საყოველთაო გაფიცვა, და კენჭს ყრაზედ აღარავინ მიდის), ლოღიკური არ იყო, რომ პარლამენტის კრეტინები გიწოდათ ყველას ყველა ამის გულისათვის? [ამას გარდა ანარქისტები და სინდიკალისტები საყოველთაო გაფიცვაში ხედავენ რევოლიუციის დაუყოვნებლივ დასაწყისს კი არა, არამედ მუდმივ ვარჯიშს რევოლიუციისთვის, ხოლო როდესაც რევოლიუცია მოვა, საყოველთაო გაფიცვებით გაწვრთნილი მუშები მზად შეხვდებიან რევოლიუციას, უკანასკნელი საყოველთაო გაფიცვაც დასაწყისი იქნება რევოლიუციისა.] ამასაც გარჩევა უნდა, ბ-ნო ნ. ჟ—ნიავ, თქვენი ნათქვამისაგან, და რომ პუჟესა, ფირონსა, ბურშესა და სხვა ანარქისტთა შეხედულებას იცნობდეთ ამ საკითხზედ, რაღაც იწილო-ბიწილოს არ მოჰყვებოდით.

Bâton.

(შემდეგი იქნება).

როგორც ზევითა ვთქვით, დრამამ საკმაოდ კარგა ჩაიარა, მაგრამ ჩვენ არტისტებს უკეთ შეეძლოთ ჩაეტარებინათ, რომ უფრო მეტად ცდილიყვნენ. ბალანჩივაძემ საკმაოდ კარგად ვერ დაგვიხატა ბოსსი. ჩვენის აზრით, ის კაცი, რომელიც თავის ჯიბის გასასქელებლად არასა ზოგავს, 12 კაცს ჰღუპავს მხოლოდ ფულისათვის, უფრო ძლიერი, უფრო ჩუმი გაიძვერა უნდა იყოს, ვიდრე ის ბოსსი, რომელიც სცენაზედ ვნახეთ. ზოგიერთ ადგილებში კი კარგი იყო, მაგალითად, პირველ მოქმედებაში, როდესაც ლამაზ იოს ელაპარაკება. ქნი ბრტიე—ქ-ნი ივანიძე, როგორც იყო, მოერია მწუხარე, გულდამწვარ, დაჩაგრულ დედის როლს. მხოლოდ როლის უცოდინრობა იქამდის უჭირებდა საქმეს, რომ მესამე მოქმედებაში, როდესაც იგი თავის უბედურებას უამბობს შეკრებილ ქალებს—სუფლიორი დიდ ჯაფაში ჩავარდა, და თვით ეს სცენაც მეტის მეტად გაჭიანურებული და მძიმე გამოვიდა. მშვენივრად ჩაატარა ქ-ნ დავითაშვილმა ლამაზ, მხიარულ, შეყვარებულ იოს როლი. ეტყობოდა როლის შეგნება, იოს ფსიხოლოგიის გათვალისწინება, მეტად კარგი იყო მესამე მოქმედებაში, სადაც იმის წუხილს ჭეშმარიტი გულწრფელი ხასიათი ჰქონდა და მეოთხეში—ბოსსის კანტორაში, სადაც ამ წუხილს ემატება ბოსსისადმი ზიზღი, აღელვება, უმადურობა. ბ-ნმა შალიკაშვილმა დაკვირვებულისა და გონიერის თამაშობით მშვენივრად ჩაატარა ცხოვრებით გაჭირვებულ, უძღრეს ბოლმით ლოთობამდი მიყვანილ დურგალ სიმონის როლი. ესევე არ ითქმის ბ-ნ ზარდალიშვილზედ. მან სავსებით ვერ დაგვიხატა სიმართლის მოყვარე, პროტესტით სავსე ჰეერტი. ეს როლი კი ძალიან მადლიანი როლია. კარგი იყო ზარდალიშვილი, ზოგან-კი სრულიად შეუსაბამო. ახალგაზდა არტისტს ძალიან უშლის არა სასიამოვნო დიქცია და ხანდახან მეტის მეტი აღელვება სწორედ იქ, სადა ეს ნაკლებადაა საჭირო.

ქ-ნნი ჯავახიშვილი, ქილარჯიშვილი, ურბნელი, ბ-ნნი გუგუშვილი, მერუსიძე, ჩარკვიანი ხელს უწყობდნენ სხვებს, რამდენადაც კი ძალა და გარემოება შესწევდათ. ბ-ნ ჩარკვიანის თამაშში ერთმა გარემოებამ მიიქცია ჩვენი ყურადღება: მეორე მოქმედებაში სიბერით ყრუ კაპი მეოთხეში დაყმაწვილებულიყო და კარგათ ესმოდა ყველაფერი. ბ-ნი შოთაძე სუსტდებოდა ბარენდის როლში. ვურჩევთ გრიმს და გარეგნობას მეტი ყურადღება მიაქციოს, რომ ასეთი კურიოზი არ მოუხდეს, როგორიც წარსულ კვირას: ეუბნებიან: ოჰ, ულვაშები ამოგსვლიაო, და ულვაშები კი არსადა ჰქონდა. ახალგაზდა არტისტს ძალა შესწევს თამაშობისათვის, ხელმძღვანელი რომ კარგი ჰყავდეს. ამას-კი ვერა ვხედავთ ქუთაისის სცენაზედ, სადაც არც ერთს წარმოდგენას არ ეტყობა რეჟისორის ხელი.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა წვრილმანებზედ, რას აუსრულებლობა დიდ ნაკლს წარმოადგენს. საშინელი ქარიშხალია, ყველაფერს ანგრევს, ჰგლეჯს. ოთახში თავმოყრილ მეთევზეთა ცოლებს და ქალებს შიშის ზარსა სცემს და... ფანჯარა კი ღიაა და ჩამოფარებული ფარდა არც-კი ინძრევა. ან კიდევ ჰეერტი ეუბნება იოს, ფარდა ჩამოაფარე, გარედან შემოსული სინათლე მაწუხებსო, სწორედ იმ დროს, როცა ფანჯრის შიგნით სინათლეა და გარედ კი უკუნეთი სიბნელე.

ჩირიკოვის ვოდევილმა: „ჩემი ბრალია“ მეტად მხიარულად ჩაიარა.

რაიცა შეეხება თარგმანების ენას, ღმერთმა შეინახოს! როგორც ეტყობათ, მთარგმნელები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ენის სიფაქიზეს, ამსრულებლებმა მაინც მიაქციონ ყურადღება ამ არა პატარა ნაკლს და ეცადონ, რომ სცენიდან ისეთს რამეს არ ამბობდნენ, რაც სიცილსა და გაუგებრობას იწვევს.

ა. აჯაბლიშვილი.

# რუსეთი

✦ **დეპუტატების არჩევნები პოლტავში.** პოლტავის ათმა გუბერნიამ აირჩია ათი დეპუტატი „ნაროდოვეცი“. ამ რიგად, მესამე არჩევნებშიაც იმ პარტიამ გაიმარჯვა, რომელსაც პირველსა და მეორე არჩევნებში ერგო გამარჯვება. ათივე დეპუტატს უმაღლესი სწავლა აქვს მიღებული. აქედან 7 უოფილი წევრია მეორე სათათბიროსი, 3 კი ახალია: მათი გვარები: გლ. ფუკოვსკი (ცნობილი მცოდნე ფინანსიურ მეცნიერებისა), ლ. დიმშა, პარჩევსკი, იაროსკი, სვეჟინსკი, ნაკონეჩნი, გონსოვიჩი, ბულატი, გრაბსკი (თავმჯდომარის ამხანაგი პოლონელთა „კოლოსი“), გარუსევიჩი და დმოვსკი, ბელადი „ნაროდოვცთა“ პარტიისა და თავმჯდომარე „კოლოსი“.

✦ **ჟდანოვის საქმე.** ამას წინად მოსკოვში გაირჩა საქმე ნაფიც ვექილის ჟდანოვისა, რომელსაც აბრალებდნენ ექსპროპრიატორობას და სოც.-დემ. პარტიის წევრობას. სასამართლომ ჟდანოვი გაამართლა. პროკურორმა საქმე გადაიტანა მთავარ სამხედრო სასამართლოში, რომელმაც გააბათილა პირველ სასამართლოს დადგენილება და მიუსაჯა ყველა უფლებების ჩამორთმევა და ოთხი წლით კატორგაში გაგზავნა. ჟდანოვს იცავდნენ ყოფილი დეპუტატები სათათბიროსი, ცნობილი ვექილები მაკლაკოვი და ტესლენკო. ამ საქმემ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვში და სხვაგანაც.

✦ **სტუდენტების ცხოვრებიდან.** პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტობას ზურგი შეუქცევია სოც. დემოკრატებისთვის სტუდენტთა პრეზიდიუმის არჩევნებში სოც. დემოკრატების კანდიდატები გაუშავებიათ და ამოურჩევიათ მხოლოდ სოც. რევოლ. და „კადეტები“. პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგად აურჩევიათ განთ ჩერქეზიშვილი.

**რედაქტორების დასჯა.** პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ „ხაშა ჟიზნის“ (ეხლანდელ „ოტოვარიშჩის“) რედაქტორს, პროფესორ ხოდსკის მუშათა დეპუტატების საბჭოს მანიფესტის დაბეჭდვისთვის მიუსაჯა შვიდი თვით დაპატიმრება. ეს საქმე სენატში გადავიდა, რომელმაც განაჩენი დაამტკიცა.

19 ოქტომბერს იმავე პალატამ გაარჩია საქმე „ვესტის“ რედაქტორის პეტრომჩევისა, რომელსაც ბრალდებოდა ისეთ წერილის დაბეჭდვა, რომელიც ხალხს არსებულ სახელმწიფო წყობილების მოცვლას ურჩევდა. პეტრომჩევს გადაუწყვიტეს ერთი წლით დაპატიმრება.

იმავე სასამართლომ ექვსი თვით დაპატიმრება მიუსაჯა „ხარბ. სლოვოს“ რედაქტორს ტენსს.

## წერილი რედაქციის მიმართ

—:—

უმორჩილესად გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ შემდეგს: ჩვენ, ს ტატლუს 38 მუშამ, ამას წინად „ისარის“ მე-158 ნომერში პროტესტი განუცხადეთ ბ-ნ მერკურის, რომელიც ყოველ კვირეულ გაზეთ „მასხარა“-ში (№ 4) ჩვენის მიზეზით შეურაცხყოფას აყენებდა ტატლუს გზის ოსტატს ა. ტყემალაძეს; ამასთან ჩვენ, მუშებმა, მერკური სამედიატორო სამართალში გამოვიწვიეთ და დაუნიშნეთ ვადად შვიდი დღე: ბ-ნმა მერკურმა თავის მხრივ გამოაცხადა, («ისარი» № 162), რომ სხვა და სხვა მიზეზით ვადაზედ ვერ გამოგყვებით სამედიატორო სამართალში, რადგან ეხლა ვერ გამოვამჟღავნებ ჩემს ვინაობას, ამიტომ დაიცადეთ 25 დღე და შემდეგ გაგცემთ პასუხსაო. ჩვენ ვადროვეთ. გავიდა ბ-ნ მერკურის მიერ დანიშნული ვადა, ორი იმდენი დროც, მაგრამ იგი დღესაც ხმას არ იღებს და ჩვენ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს. აქედან აშკარაა, რომ იგი მტყუანია, აშკარაა, რომ მან ტყუილად პირადის ინტერესებით დასწამა ცილი უდანაშაულო ხალხს ა. ტყემალაძეს და იმის მეუღლეს.

38 მუშის მინდობილობით ხელს ვაწერთ: **გრიგოლ აბაშიძე, ვანო რამიშვილი, მიხა გიორგაშვილი და გიორგი მამულაშვილი.**

—

თქვენის გაზეთის მე-233 ნომერში დაბეჭდილია ბ-ნ ჩვენის ცნობა კავკასიის პირველ პარიკმახერთა ამხანაგობის შესახებ. წერილში ნათქვამია, ვითომ ჩვენ ქარგლები დაგვეთხოვოს. 12 ოქტომბერს ჩვენმა ქარგლებმა წარმოგვიდგინეს მოთხოვნილება ჯამაგირების მომატების შესახებ, თუ მოგვიმატებთ ამდენს, ვიმუშავებთ თქვენ სახელოსნოში, თუ არა და ანგარიში გაგვისწორეთ და რაც გვერგება ჯამაგირები მოგვეცითო. ამათთან ერთმა შეგირდმა მოგვმართა სიტყვიერად და გვითხრა, აღარ გვინდა თქვენთან მუშაობა, ეხლა სხვები ამუშავეთო. ჩვენ გვეგონა, მათში რომელსამე ქარგალს და ან შეგირდს უნდოდა მუშაობის მიტოვება, ამიტომ ვმართეთ ქარგლებს—ვისა გსურთ წასვლა და რამდენ კაცსაო. შემდეგ დასწერეს წერილი და ყველა ქარგალმა და შეგირდმა ხელი მოაწერა, რომ ჩვენის ნებით ვტოვებთ ალაგსაო, ხელწერილი გადმოგვცეს ჩვენ და იგი ეხლაც ჩვენთან ინახება. იმავე დღეს ქარგლებმა აალაგეს თავიანთი იარაღი და წავიდნენ, მხოლოდ 15 ოქტომბერს მოვიდნენ და მიიღეს ჯამაგირები. მართალია ბ-ნ ჩვენის განცხადება, რომ თვითეული მათგანი იღებდა 40 მანეთს, მეტსაც იღებდნენ, რადგან თუ პროცენტებს (10) მიუმატებთ, თვითოს მოსდიოდა 55 მანეთი, და ხან მეტიც. ამ რიგად, ჩვენ მომუშავენი არ დაგვითხოვნია; პირიქით, ჩვენ კიდეც მოუმატეთ თვითო ქარგალს 2 მ. 50 კაპ. ადგილები თავისუფალია და ვისაც სურს მათგანს განაგრძოს მუშაობა ჩვენ პირობებზე, მოვიდეს და იმუშაოს. ჩვენმა მოსამსახურეებმა აიღეს იარაღი, გვითხრეს, აღარ გვინდა თქვენთან მუშაობაო და წავიდნენ. გაფიცვა წინადაც ყოფილა, მაგრამ მუდამ დაგვიკმაყოფილებია, ახლა კი პირდაპირ წასვლა და ადგილის მიტოვება მოისურვეს.

**პირველი კავკასიის ამხანაგობა პარიკმახერთა.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**რ უ ს ე თ შ ი.**

**24 ოქტომბერი**

**ვლადიკავკაზი.** ჰიპოდრომის მახლობლად ღამე ნახეს მოკლულ პოლიციელის გვამი. შეიპყრეს ოთხი მუშა.

**ხერსონი.** ღამე მსუბუქად დასჭრეს სახაზინო საწყობის მოდარაჯე სალდათი. ზაბალკაში ერთ ეზოში იპოვნეს 4 მომზადებული პატრუქიანი ყუმბარა. შეიპყრეს სამი კაცი.

**კიევი.** სოფ. ვოლჩიცაში გლეხებმა შეიპყრეს ორი ქურდი ცხენებისა და ორივე მოჰკლეს.

**ვარშავა.** „ოხრანნი“ განყოფილებამ დააპატიმრა პოლონელ რევოლიუციონერ პარტიის 34 წევრი. აღმოაჩინეს სახლი, სადაც წვრთნიდნენ მებრძოლ რაზმს. შეიპყრეს საზღვარ გარეთიდან იარაღის და არალეგალურ ლიტერატურის შემომტანნი.

**25 ოქტომბერი.**

**პეტერბურგი.** საერო განათლების მინისტრმა ცირკულიარული ბრძანება გამოსცა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულთ დიპლომი უნდა მიეცეთ იმის შემდეგ, როცა დამტკიცებული იქნება, რომ საშუალო სასწავლებლის გათავების მოწმობა ამა თუ იმ პირისა ნამდვილია და ყალბი არ არის, ვისაც საშუალო სასწავლებლის გათავების მოწმობა ყალბი აღმოჩნდება, დაუყოვნებლივ სამართალში უნდა მიეცეს.

**სარატოვი.** მსუბუქად დასჭრეს, შინ დაბრუნების დროს, საპატიმროს უფროსის თანაშემწე შჩილოვსკი.

**ვარშავა.** 23 ოქტომბერს მოჰკლეს ორი ჟანდარმი.

**ეკატერინოსლავი.** შეიპყრეს მძარცველთა ბრბო. უპოვნეს ყუმბარები, დინამიტი, საელექტრონო ბატარეია და რევოლვერები. ხოლერით ავად გახდა ერთი, გარდაიცვალა 1.

**კურსკი.** სუჯენის მაზრაში ავად გახდა 5, მორჩა 3.

**პოლტავა.** გუბერნიაში გარდაიცვალა 1.

**ომსკი.** ქალაქში ავად გახდა 2, მაზრებში 8, გარდაიცვალა 3.

**პოლტავა.** საგლეხო ბანკმა შეიძინა ზოლოტონოშის მაზრაში 3 კერძო მამული, ზომით 4672 დესეტინა და 1 საუფლისწულო, ზომით 8,468 დესეტინა. საუფლისწულო და ერთი კერძო მამული მიწის მომწესრიგებელ კომისიას გარდაეცა.

**ვარშავა.** ბენედიქტისა და ზატონნი ქუჩის ბოლოს სასიკვდილოდ დასჭრეს მუშა.

**ნოვოჩერკასკი.** 23 ოქტომბერს ვიღაც უცნობნი შეუვარდნენ სახლში დერევიანკოვს და 12 ტყვიით მოჰკლეს მისი ცოლი, რომელმაც გასცა ჩერნოვის გაძარცვის განმზრახველნი.

**სარატოვი.** ბალბამოვში 23 ოქტომბერს საღამოთი 10 შეიარაღებული და ნიღაბჩამოფარებული კაცი შევარდა ბაკანოვსკის სტამბაში. აიძულეს აეწყოთ და დაებეჭდათ ათას-ხუთასი ცალი სარევოლიუციო მოწოდებისა. დაბეჭდილი წაიღეს და მიიმალნენ.

**ცივხინი.** ისრის ცუდად გადაბრუნების მიზეზით, ვოლოგდიდან მომავალი მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. დაშავდა კონდუქტორი, დაიმტვრა 10 დატვირთული ვაგონი.

**პეტერბურგი.** განაგრძეს გურკოს საქმის გარჩევა. ჩამოართვეს ჩვენება ფინანსთა მინისტრს კოკოვცევს, იმის ამხანაგს პოკროვსკის, სტიშინსკის, იმ ფირმათა წარმომადგენლებს, რომელთაც გურკოსთან რამე საქმე ჰქონდათ. წაიკითხეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჩვენება, აგრეთვე ჩვენება სხვაგან მყოფ მოწმებისა: ბარონ ფრედერიქსისა, ლიდვალისა და სხ.

**ხერსონი.** 21 ოქტომბერს გოლტაში ბრბომ სროლა აუტეხა ქუჩაში მიმავალს ორს სტრაჟნიკს და ორს კაზაკს. კაზაკებმა პასუხი გასცეს. ბრბოსაგან ერთი დაიჭრა. 22 ოქტომბერს საბულკოში ერთი კაზაკი მძიმედ დასჭრეს, მეორე მსუბუქად.

**პეტერბურგი.** 23 ოქტომბრის სხდომაზე მინისტრთა საბჭომ მოიწონა სახ. სათათბიროში შესატანად სხვა და სხვა კანონპროექტი: ფინანსთა მინისტრისა—სავაჭრო-სამრეწველოებში გასაწერ გადასახადთა რაოდენობის შესახებ—1908—1910 წლებში. იმავე მინისტრისა რომ საგლეხო ბანკს უფლება მიეცეს საბოლოოდ მიჰყიდოს გლეხებს მიწები იმ შემთხვევაში, თუ კი გლეხი აძლევს იმდენს, რამდენიც თვით ბანკს მიუცია ამა თუ იმ მამულში და სხ.

**სიმფეროპოლი.** მელიტოპოლის მაზრის სოფ. ვერხნაია ბელოზერკაში მოჰკლეს რუსთა კავშირის ადგილობრივ განყოფილების თავმჯდომარე მილო.

**ეკატერინოსლავი.** ბოროტ-მოქმედთა შეპყრობის დროს მძიმედ დაიჭრა უბნის ზედამხედველი, მსუბუქად ერთი ჟანდარმი. ერთი ძარცვი მოჰკლეს, მეორე დასჭრეს.

**ვარშავა.** „ოხრანნი“ განყოფილებამ შეიპყრო 12 პოლონელის-დემოკრატი, აქედან ერთი მებრძოლ ორგანიზაციის წევრია. ერთი სხვა სახლით მეზობლად მსახურებდა იმ სახლში, სადაც პარტიული ქონება ინახებოდა. შეიპყრეს 7 ანარქისტი-ტერრორისტი.

**ყაზანი.** ქალაქის სასწავლებელთა კომისია ადგენს პროექტს ყაზანში საყოველთაო სწავლის შემოღების შესახებ.

**კონსტანცა.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ხოლერით ავად არავინ გამხდარა. სენის გაჩენიდან გუბერნიაში ავად გახდა 255, გარდაიცვალა 119.

**ხერსონი.** სენის გაჩენიდან გუბერნიაში ავად გახდა 24, გარდაიცვალა 7.

**ტომსკი.** ნოვო-ნიკოლაევსკში 23 ოქტომბერს ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2.

**კიევი.** 23 ოქტომბერს ავად გახდა 17, გარდაიცვალა 4.

**ჩერნიგოვი.** ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2. სენის თავის ჩენიდან ავად გახდა 83, გარდაიცვალა 48.

**ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი.**

**მოსკოვი.** სახ. სათათბიროს წევრად აირჩიეს: პირველ კურიაში გუჩკოვი; 17 ოქტომბრის კავშირის ცენტრალურ კომიტეტის სავმჯდომარე და პლევაკო—ნაფიცი ვექილი, ოქტომბრისტი.

**რიგა.** დეპუტატად აირჩიეს პრედკალნი—ს.-დემოკრატი.

**პეტერბურგი.** დეპუტატებად აირჩიეს: პირველ კურიაში—ფონ-ანრეპი და ლერხე ოქტომბრისტები; მეორე კურიაში—როდიჩევი და კოლიუბაკინი, კადეტები.

**უ ც ხ ო ე თ შ ი.**

**24 ოქტომბერი.**

**რომი.** სენატში მრავალ ხალხის თანადასწრებით შეუდგნენ კარაბინერის და პოლიციელის საქმის გარჩევას (?)

**პარიჟი.** მაროკოს შესახებ ყვითელ წიგნის ბეჭდვა გათავდა. პიშონი უცდის წიგნის დარიგებას და გერმანიიდან ნებართვას, რომ გამოაქვეყნოს ის დოკუმენტები, რომელიც აქვს გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარს ფონ-ჩირშკის.

**მარსელი.** პურის ვაჭართა სინდიკალურ პალატის ბიურომ ოფიციალური პროტესტი გამოუცხადა რუსის მეპურეებს, რომელთაც პირობის შესრულებაზე უარი განაცხადეს, ძველ პირობით პურს ვერ ჩაგაბარებთ, რადგან რუსეთში პურის ფასმა ძლიერ აიწიაო.

**მინეაპოლისი.** ფინანსურ კრიზისის გამო ბევრ წისქვილში მუშაობა დროებით შესწყვიტეს.

**ლონდონი.** „მორნინგ-პოსტი“ არჩევს რუსეთ-ინდოეთის რკინის გზის პროექტს და ამბობს, რომ ეს გზა ფრთას შეაკვეცს ომიანობის სურვილს, ორივე სახელმწიფოს საშუალებას მისცემს გააძლიერონ თავიანთ ადგილობრივ აგენტებისადმი კონტროლი. გზა ორივე სახელმწიფოსთვის პოლიტიკურად და ეკონომიურად სასარგებლო იქნებაო.

**ნიუ-იორკი.** ხაზინის მდივანმა 7,100,000 დოლარი ოქრო შეიტანა აქაურ ბანკებში.

**ფრეიბურგი.** სასწავლო გემ «ბრიუხერში», ქვაბი გასკდა. 8 კაცი მოკლულია და 22 დაჭრილი.

**ალეპპო.** 22 ოქტომბერს პურის გაძვირებისაგამო მოხდა ქუჩებში დემონსტრაცია. ბრბომ დუქნების აკლება განიზრახა. ვალის და ჟანდარმებს ქვები დაუშინეს. რამდენიმე კაცი დაიჭრა. წესიერება აღადგინეს.

**ნიუ-იორკი.** არჩევნები მშვიდობიანად გათავდა. კენტუკის შტატში გუბერნატორად აირჩიეს რესპუბლიკელი. ნიუ-ჯერსიში კანდიდატად—დემოკრატი, ოგაიოს შტატის ქ. კლივლენდის ბურგომისტრად აირჩიეს დემოკრატი, რომელმაც დაამარცხა რესპუბლიკელი, რომელსაც მხარს უჭერდნენ რუზველტი და ტაფტი.

**სტამბოლი.** ბერძნების ელჩმა პორტას წარუდგინა წინადადება, ბოლგარელთა რაზმების მოქმედებას შესახებ ბერძნების წინააღმდეგ მონასტირის ვილაიეტსა და სერასკის სანჯაკში. ზოგიერთა ელჩებმა პორტას ყურადღება მიაქციეს მაკედონიაში ბოლო დროს ბრბოთა მოძრაობას და ურჩიეს საჭირო ზომების მიღება.

20 ოქტომბერს მონასტირის ვილაიეტში სოფ. იიტოსს დაეცა ბერძენთა რაზმი, რომელსაც ყუმბარა ჰქონდა. გადასწვეს 16 სახლ-კარი, მოჰკლეს 3 მამაკაცი და 5 დედაკაცი. მერე ჯარმა მოუსწრო და მალმომრეობა შეაჩერა.

რედაქტორ-გამომცემელი ე. [illegible]შვილი.

# გამოსადეგი ცნობანი

## მატარებლების მიმოსვლა

**(15 ოქტომბრიდან)**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ტფილისიდან მიდის

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრო № 7 დილის 10 საათზე (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, № 3 დილის 8 ს. 17 წ. (9 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო № 5 საღამოს 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სწრაფი № 8 საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 8 ს. 43 წ. (9 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 6 ს. 55 წ. (7 ს. 53 წ.)

**ყარს-ერევნისაკენ:** 1) საფოსტო ღამის 12 ს. 10 წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.).

ტფილისში მოდის.

**ბათუმიდან:** 1) სამგზავრო № 8 საღამოს 11 ს. (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 51 წ. (8 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 6 ს. 25 წ. (7 ს. 23 წ.).

**ბაქოდან:** 1) სწრაფი № 7 დილის 9 ს. 28 წ.; (10 ს. 26 წ.); 2) საფოსტო, № 3 დილის 7 ს. 26 წ. (8 ს. 24 წ.); 3) სამგზავრო, № 5 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.).

**ერევან-ყარსიდან:** 1) საფოსტო, ნაშუადღევის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 2) სამგზავრო, საღამოს 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.).


# განცხადებანი

## ბაღი და სანერგე ავსარქისოვისა.

იყიდება მეტად ხელმისაწვდენ ფასად საზღვარ-გარეთულ, რუსულ და კავკასიურ ჯიშის ხეხილის ხეები. კატალოგები მსურველს უფასოდ გაეგზავნება.

ადრესი: Ст. Скра. З. Ж. Д. Авсаркисову. (20—359—1)

## მასწავლებელთა საყურადღებოდ!

**ქართული წერის დედანი**

ალ. მირიანაშვილის შედგენილი 40 კაპ.

ამ დედანთან სახმარებელი

**რვეულები 1 და 2 № 3 კაპ.**

„არითმეტიკული კრებული“

ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ.

„მეორე ნაწ. კრებულისა“ (მისივე) 40 კ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები. მსურველს ფას დადებითაც გაეგზავნება. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე. (20—13)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. **«ამბოხება კახეთისა»**, 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . 1 მ.
2. **«საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია»**, ი. ჯავახიშვილისა . 15 კ.
3. **«ქართლის ცხოვრება»**, მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . . . . 3 მ.
4. **«საბერძნეთის ძველი ისტორია»**. ნორმანისა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. **«რომაელების ძველი ისტორია»**, თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. **«ფიზიკური გეოგრაფია»**, ს. იაშვილისა . . . . . . . . . . 20 კ.
7. **«მასალები საქართველოს ისტორიისათვის»**, . . . . . . . . . . 1 მ.
8. **«საქართველოს ისტორია»**, მ. ჯანაშვილისა . . . . . . . . 1 მ.
9. **«მთიულეთი»**, (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . . . . 40 კ.
10. **«ცისარტყელა»**, სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . . . . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიაგის» გამოც.მა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузiи и древней Арменiи», ი. ჯავახიშვილისა . . . . . . . 1 მ. 35 კ.
14. საქართველოს ეკონომიური ისტორია, ი. ჯავახიშვილისა . . . . 40 კ.
15. Судьбы груз. церкви. I-ое добавленiе . . . . . . . . . . . . 5 კ.
16. სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ მე-18 საუკ., გამოც. წერა-კითხვის საზოგადოების, რედაქცია ექ. თაყაიშვილისა. . . . . . . 2 მან.